დასკვნა:**დ02.37220733**
თარიღი:**14/03/2022**

# დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიამ, შეისწავლა და განიხილა მოქალაქე დავით ჟღენტის განცხადება ქ. ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის ქუჩაზე კანალიზაციის ქსელის მოწყობის აუცილებლობის შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფმა ადგილზე გასვლით, შეისწავლა დავით ჟღენტის განცხადებაში მოცემული წინადადების განხორციელების მიზანშეწონილობა და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთში, ნოდარ დუმბაძის ქუჩის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ იქ ქუჩის მთელ პერიმეტრზე (დაახლოებით 1100 მ) არ არის მოწყობილი კანალიზაციის ქსელი

2. ნ. დუმბაძის ქუჩა საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მონაკვეთია,მოსახლეობას ეზოში აქვთ მოქყობილი კანალიზაციის ჭები, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ნ. დუმბაძის ქუჩაზე აუცილებელია კანალიზაციის ქსელის მოწყობა.

2. ეთხოვოს ოზურგეთის მინუციპალიტეტის მერს, შესაბამის სამსახურებს დაავალოს კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციების მომზადება ნოდარ დუმბაძის ქუჩის პერიმეტრზე კანალიზაციის ქსელის მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი